პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!
ПРОЛЕТАРИИ ВСЕХ СТРАН, СОЕДИНЯЙТЕСЬ!

# მებრძოლი გუშაგი
# Боевой страж

გაზეთი გამოდის 1926 წლიდან
ГАЗЕТА ВЫХОДИТ С 1926 ГОДА

საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სამინისტროს ორგანო
ОРГАН МИНИСТЕРСТВА ВНУТРЕННИХ ДЕЛ ГССР

შაბათი, 17 მარტი, 1990 წელი ● № 12 (2889) ● СУББОТА, 17 МАРТА 1990 г.

საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის სახალხო დეპუტატთა ყრილობის დადგენილება

## საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის პრეზიდენტის შესახებ

სსრ კავშირის სახალხო დეპუტატთა ყრილობა ადგენს: არჩეულ იქნეს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის პრეზიდენტად ამხანაგი მიხეილ სერგის ძე გორბაჩოვი.

## В КОЛЛЕГИИ МВД ГССР

7 МАРТА состоялось очередное заседание коллегии МВД ГССР, на котором с информацией о заседании коллегии МВД СССР, рассмотревшем итоги оперативно-служебной деятельности органов внутренних дел в прошлом году и задачи на 1990 год, выступил первый заместитель министра внутренних дел республики генерал-майор внутренней службы В. Шадури.

На коллегии с информацией об итогах исполнения требований приказа МВД СССР от 22 мая 1987 года и указания МВД ГССР от 25 февраля 1988 года «О служебной аттестации личного состава органов внутренних дел», выводах и принятых для их реализации мерах выступил заместитель начальника УК МВД ГССР подполковник милиции Р. Хубулия.

О состоянии социалистической законности в деятельности следственных изоляторов, в соответствии с требованиями решений коллегии МВД СССР от 28 сентября 1989 года, членов коллегии проинформировал заместитель начальника УИД МВД ГССР полковник внутренней службы Д. Микадзе.

Об итогах всесоюзного и республиканского соцсоревнования за 1989 год среди коллективов производственных и хозяйственных организаций МВД ГССР членов коллегии проинформировал начальник ФПУ МВД ГССР подполковник внутренней службы И. Гугунава.

С информацией о соблюдении соцзаконности следователями МВД ГССР во время задержаний, арестов, привлечений к уголовной ответственности граждан на коллегии выступил заместитель начальника следственного управления МВД ГССР подполковник милиции Д. Гахокидзе.

## НА ОПЕРАТИВНОМ СОВЕЩАНИИ РУКОВОДЯЩЕГО СОСТАВА МВД ГССР

7 МАРТА состоялось оперативное совещание руководящего состава МВД ГССР, которое провел министр внутренних дел республики генерал-лейтенант внутренней службы Ш. Горгодзе.

На совещании была заслушана информация начальника оргинспекторского отдела МВД ГССР полковника милиции К. Буджиашвили об оперативной обстановке в республике за два месяца и февраль 1990 года.

Руководству УУР (начальник — полковник милиции Г. Шаламберидзе), УПС (полковник милиции Л. Горгодзе) и УООП (полковник внутренней службы Г. Бичашвили) министерства поручено принять меры профилактического характера, направленные на предотвращение умышленных убийств и покушений на них. УПС предложено также принять дополнительные меры по сокращению преступности среди несовершеннолетних.

Принять соответствующие меры по усилению борьбы с имущественными преступлениями и уделить особое внимание их раскрываемости поручено руководству УУР и УО (полковник милиции Г. Кварелашвили).

В целях улучшения результатов в борьбе с преступлениями в сфере экономики, руководству УБХСС (полковник милиции Г. Патарая) предложено сконцентрировать усилия на выявлении хищений соцсобственности в особо крупных размерах, а также взяточничества.

Руководству УГАИ (полковник милиции Г. Цинцадзе) в целях стабилизации обстановки на автодорогах республики предложено принять дополнительные меры, направленные на предупреждение дорожно-транспортных происшествий, в том числе со смертельным исходом, и усилить контроль за водительским составом и пешеходами.

В связи с ростом количества поджогов, руководству УПО (полковник внутренней службы Д. Сурмава) указано на необходимость осуществить дополнительные мероприятия профилактического характера, направленные на стабилизацию положения на данном направлении.



17 წლის ბიჭი იყო ანდრო ნარმანია, როცა მოხალისედ წავიდა სამამულო ომში. მოიარა მთელი ბრძოლის ხაზი, ჯარიდან დაბრუნდა როგორც ომის ინვალიდი. მუშაობდა სხვადასხვა თანამდებობაზე. იყო ოჩამჩირის რაიონული საბჭოს დეპუტატი, სასოფლო საბჭოს თავმჯდომარე. 1960 წელს ის გადაჰყავთ სოფელ სიდაში კოლონიის რაზმეულის უფროსად, შემდეგ ამავე კოლონიის უფროსი ხდება. დაჯილდოებულია ორდენებით და მედლებით, პენსიაზე გავიდა შს უფროსი ლეიტენანტის წოდებით. მამის კვალს შვილიც გაჰყვა, ვალერიმ დაამთავრა კიევის სამოქალაქო ავიაციის საინჟინრო ინსტიტუტი, შემდეგ ავტოტრანსპორტის ინსტიტუტი. 15 წელია მუშაობს შსს-ში. დაჯილდოებულია მილიციის ფრიადოსნის ნიშნით. დაჯილდოებულია ასევე I, II, — III ხარისხის სამკერდე ნიშნით „უმწიკვლო მუშაობისათვის", მრავალი ქების სიგელით. დღეს ვალერი მუშაობს სოხუმი-ინგირის ტრასის ოცეულის უფროსად.

* * *

სურათზე: მამა-შვილი ანდრო და ვალერი ნარმანიები ათვალიერებენ ფოტოებს პატარა ფიქრიასთან ერთად.

## გარკვეული მუშაობა გატარდა, მაგრამ...

**— ბატონო გოგი, ვიცით რომ რესპუბლიკის გზებზე მდგომარეობა გართულებულია და მაინც როგორი შედეგებით დამთავრდა 1989 წელი.**

— 1989 წელს საქართველოს სსრ ტერიტორიაზე რეგისტრირებულია 2621 (1988 წლის მონაცემებთან შედარებით +225) საგზაო-სატრანსპორტო შემთხვევა, რომელთა დროსაც დაიღუპა 797 (+129) ადამიანი და 3 070-მა (+269) მიიღო სხეულის დაზიანება.

საჭიროა აღინიშნოს, რომ მიმდინარე წელს პრაქტიკულად ყველგან აღინიშნება ავტოტრანსპორტზე ავარიების ცალკეული მაჩვენებლების მატება.

1989 წელს რესპუბლიკაში რეგისტრირებულია 200 (+30) გაუხსნელი საგზაო-სატრანსპორტო შემთხვევა, რომელიც შეადგენს მთელ შემთხვევათა რიცხვის 7,6%, რომელთა დროს დაიღუპა 50 (+3) (6,2%), სხეულის დაზიანება მიიღო 168 (+39) ადამიანმა (5,4%).

**— რა გვევლინება ამ საგზაო-სატრანსპორტო შემთხვევების გამომწვევ ძირითად მიზეზებად?**

— თითქმის ყველა საგზაო წესების დარღვევების მიხედვით აღინიშნება ავარიულობის რაოდენობის მატება, მაგ. სიჩქარის გადაჭარბების მიზეზით ავარიულობა გაიზარდა 25,3%, დაღუპულების 30,8%, დაშავებულების 28,9%, გასწრების წესის დარღვევის მიზეზით, საგზაო-სატრანსპორტო შემთხვევათა რიცხვი გაიზარდა 20,3%-ით, დაღუპულებისა 17,7%, დაშავებულების 19,2%.

არაფხიზელ მდგომარეობაში სატრანსპორტო საშუალებების მართვის მაღალი დონე აღინიშნება ქ. თბილისი — 17 შემთხვევა, აფხაზეთის ასსრ — 12 შემთხვევა, აჭარის ასსრ — 5, ქ. რუსთავი — 7 შემთხვევა, ქ. თელავი — 5, ლაგოდეხის რაიონი — 4, სამ-სამი შემთხვევა აქვს ახალციხის, გარდაბნის, მცხეთის რაიონებს, ორ-ორი შემთხვევა გორის, კასპის, ზესტაფონის, საჩხერის, სენაკის რაიონებში. იმ ტერიტორიაზე, რომელსაც ემსახურება გორის მოტორიზებული ოცეული, საგზაო-სატრანსპორტო შემთხვევების რაოდენობა ნასვამი მძღოლების დანაშაულით მოხდა — 19 შემთხვევა.

1989 წელს გზების არადამაკმაყოფილებელი მდგომარეობა ხელშემწყობი ფაქტორი იყო 378 საგზაო-სატრანსპორტო შემთხვევის დროს (რაც საერთო საგზაო-სატრანსპორტო შემთხვევების მთლიანი რაოდენობის 14,4% შეადგენს) რომლის დროსაც დაიღუპა 150 (18,8%) და დაშავდა 417 (13,6%) ადამიანი.

საგზაო-სატრანსპორტო შემთხვევების მოხდენაზე გავლენას ახდენს ისიც, რომ არ არის საჭირო განათება გზებისა და ქუჩების საval ნაწილზე. 1989 წელს, საღამო ხანს, მოხდა 1200 საგზაო-სატრანსპორტო შემთხვევა (საერთო რაოდენობის 45,8%) 1988 წელთან შედარებით ეს მაჩვენებელი გაიზარდა 430 შემთხვევით (55,8%).

1989 წელს ქვეითად მოსიარულეების მიზეზით რეგისტრირებული იქნა 337 (—5) საგზაო-სატრანსპორტო შემთხვევა, რომლის დროსაც დაიღუპა 90 (+17) და დაშავდა 277 (—16) ადამიანი.

**— რა მაჩვენებლებით ხასიათდება 1989 წელს ადმინისტრაციული პრაქტიკის მდგომარეობა?**

— 1989 წლის განმავლობაში საქართველოს შს სამინისტროს საი-ს სამმართველოს ქვედანაყოფების მიერ გამოვლენილი იქნა 935 854 მოძრაობის წესების დარღვევა, რაც 89 204 შემთხვევით (8,8%) ნაკლებია წინა 1988 წელთან შედარებით.

ზემოთ მოტანილი გარემოებებიდან საჭიროა აღინიშნოს, რომ საბჭოთა კავშირის შს სამინისტროსა და საქართველოს შს სამინისტროს მითითებანი გაძლიერდეს მუშაობა მოძრაობის წესების უხეში დარღვევების გამოვლინებასა და აღკვეთაზე, რომელნიც საგზაო-სატრანსპორტო შემთხვევების გამომწვევის ძირითადი მიზეზია, არ არის დაყვანილი საგზაო-საპატრულო სამსახურის პირად შემადგენლობამდე და უკიდურესად არადამაკმაყოფილებლად სრულდება. ჯერ კიდევ არ არის ბოლომდე აღკვეთილი საგზაო-საპატრულო სამსახურის ინსპექტორების მუშაობის შეფასების კრიტერიუმი მათ მიერ გამოვლენილი დარღვევების საერთო რიცხვის მიხედვით.

საჭიროა აღინიშნოს, რომ იმ პირთა გამოვლენა, რომლებიც სატრანსპორტო საშუალებას მართავენ ნასვამ მდგომარეობაში, საგრძნობლად შემცირდა აფხაზეთის ასსრ-ში 1013 ერთეულით, სამხრეთ ოსეთის ა/ო-ში 196, ახმეტაში — 63, ბოლნისში — 21, ყვარელში — 115, ლანჩხუთში — 41, ბორჯომში — 41, გურჯაანში — 66, მცხეთაში — 51, ოზურგეთში 128, საგარეჯოში — 62, ხობში — 79, წალენჯიხაში — 128, სენაკში — 79 ერთეულით და რესპუბლიკის სხვა რეგიონებში.

ამასთან ერთად უნდა აღინიშნოს ისიც, რომ საი-ს სამმართველოს საგზაო-საპატრულო სამსახურის ცალკეული ბატალიონის პირადი შემადგენლობის მხრიდან კი ამ მიმართულებით აღინიშნება მუშაობის აქტიურობის გაზრდა, რომელთა მიერ 1989 წელს 2 785 ნასვამი მძღოლია გამოვლენილი, რომელიც 1988 წელთან შედარებით 743-შემთხვევით, ანუ 36,3%-ით მეტია.

**— რა ღონისძიებებს ატარებს სამმართველო მუშაობაში არსებული ნაკლოვანებების გამოვლენა აცილებისათვის?**

— მოძრაობის უსაფრთხოების უზრუნველყოფის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს პირობას მისი სწორი ორგანიზაცია წარმოადგენს. ამასთან დაკავშირებით გასულ წელს,

(დასასრული მე-2 გვ-ზე)

# გარკვეული მუშაობა გატარდა, მაგრამ...

(დასასრული)

საუწყებათაშორისო კომისიის მიერ მოეწყო სახელმწიფო და რესპუბლიკური მნიშვნელობის საავტომობილო გზების სეზონური დათვალიერებები, შედგა სათანადო აქტები, დაისახა ღონისძიებები, რომლებიც მიმართულია გზების საექსპლოატაციო პირობების შემდგომი გაუმჯობესებისაკენ. ნათქვამს ისიც უნდა დავუმატოთ, რომ სახელმწიფო ავტოინსპექციისა და საგზაო-საპატრულო სამსახურის მუშაკები ტრანსპორტისა და ქვეითად საგზაო მოძრაობაზე ზედამხედველობის პროცესში გარკვეულ ყურადღებას უთმობენ აგრეთვე სამართალდარღვევათა და დანაშაულის ფაქტების გამოაშკარავებისა და აღკვეთა-აცილების საქმეს.

გასულ წელს უშუალოდ სახავტოინსპექციის მუშაკების მიერ ან მათი მონაწილეობით გამოაშკარავდა (გაიხსნა) ან აღიკვეთა სხვადასხვა დანაშაულისა და სამართალდარღვევის 347 ფაქტი. მათ შორის: სისხლის სამართლის სამძებროს ხაზით 180 შემთხვევა, სოციალისტური საკუთრების დატაცების ხაზით 167 შემთხვევა. ამასთან ერთად უნდა აღინიშნოს რომ მთელ რიგ შინაგან საქმეთა საქალაქო და სარაიონო განყოფილებებში არ არსებობს ამ ხაზით ჩატარებული მუშაობის აღრიცხვა. ესენია: თეთრიწყაროს, ქარელის, ახმეტის, დმანისის, ონის, წალენჯიხის რაიგანყოფილებები და ჭიათურის საქალაქო განყოფილება.

მიუხედავად საქართველოს სსრ შს სამინისტროს მითითებისა, რომ გამოყენებული არ იქნეს ფულადი დაჯარიმების ფორმა იმ მძღოლების მიმართ, რომლებიც ნასვამ მდგომარეობაში მართავდნენ სატრანსპორტო საშუალებას, მთელი რიგი შს სამინისტროებსა და განყოფილებების ხელმძღვანელობის მიერ დაშვებული იქნა ფულადი დაჯარიმების ფორმა მაგალითად: აფხაზეთის ასსრ-ში (25 შემთხვევა), აჭარის ასსრ-ს შს სამინისტროში (15 შემთხვევა), ბოლნისში (8 შემთხვევა), გარდაბანში (8 შემთხვევა), ზესტაფონში (11 შემთხვევა), ფოთში (13 შემთხვევა), ტყიბულში (5 შემთხვევა) და რესპუბლიკის სხვა საქალაქო და სარაიონო განყოფილებებში.

ზოგიერთი შემთხვევების შემოწმებამ დაამტკიცა, რომ დაჯარიმებული მძღოლების უმეტესი ნაწილი აღმოჩნდა ვაჭრობისა და მომსახურების დარგის მუშაკები.

ჩატარებულმა შემოწმებებმა დაგვანახა, რომ საი-ს ცალკეულ ქვედანაყოფებში სამედიცინო დაწესებულებებიდან მიღებული დამოწმების აქტები ადმინისტრაციული პრაქტიკის ინსპექტორების მიერ შესაბამის ჟურნალებში არ რეგისტრირდება, რითაც ძნელდება მოცემული დარღვევის შემდგომი ადმინისტრაციული მასალების დადგენა და სამსახურებრივი მოვალეობის ბოროტად გამოყენების პირობებს ქმნის.

საქართველოს შს სამინისტროს საი-ს სამმართველოს ცალკეული ბატალიონის მუშაკების მიერ რესპუბლიკური ნარკოლოგიური საავადმყოფოს მონაცემებთან ქ. თბილისის აღმასრულებელი კომიტეტის საი-ს საგზაო-საპატრულო სამსახურის ცალკეული ბატალიონის 1989 წლის 9 თვის მასალების შემოწმებამ დაგვანახა, რომ სამედიცინო დამოწმების ოქმები 15 მძღოლზე, რომლებიც სატრანსპორტო საშუალებას მართავდნენ მსუბუქად ნასვამები, არ აღმოჩნდა.

არანაკლებია ისეთი ფაქტები, როდესაც სამედიცინო დაწესებულებაში მიყვანილი მძღოლები, რომლებიც ნასვამ მდგომარეობაში იმყოფება (სამედიცინო დაწესებულების შესაბამის ჟურნალებში აღნიშნულია მათი მართვის მოწმობის ნორმები) შემდგომში საი-ს მუშაკების მიერ შს განყოფილებების სამორიგეო ნაწილში ფორმდება, როგორც ნასვამი ფეხით მოსიარულე, რომელმაც დაარღვია საგზაო მოძრაობის წესები.

გასულ 1989 წელს რესპუბლიკის ქალაქისა და რაიონის შს განყოფილებების საი-ს ქვედანაყოფების მიერ გამოვლენილი იქნა სატრანსპორტო საშუალების ნასვამ მდგომარეობაში მართვის 502 შემთხვევა, რაც 293 (!) ერთეულით (36%) ნაკლებია 1988 წელს გამოვლენილ შემთხვევებზე.

გასულ წელს სახელმწიფო ავტოინსპექციის სამართალგამოყენებით მოღვაწეობაში სოციალისტური კანონიერების დაცვის უზრუნველყოფის მხრივ არ მომხდარა ძირეული ცვლილებები. კვლავ მძაფრ პრობლემად რჩება სახელმწიფო ავტოინსპექციის მუშაკების ურთიერთობა საგზაო მოძრაობის მონაწილეებთან. არც თუ იშვიათად, სახავტოინსპექციის თანამდებობის პირები ფორმალურად, ბიუროკრატიულად უდგებიან ადმინისტრაციულ საქმეთა განხილვას, საგზაო მოძრაობის წესების დარღვევისათვის სასჯელის სახისა და სიდიდის განსაზღვრის საკითხს. საპროცესუალო ნორმების დარღვევები, ცხადია, მოქალაქეთა უკმაყოფილებას, საჩივრებისა და განცხადებების მოზღვავებას იწვევს.

იშვიათი არ არის შემთხვევები, როცა ძალზე ჭიანურდება მოქალაქეთათვის წესების დარღვევებისათვის ადრე აკრძალულ უფლებათა კანონიერი აღდგენის საქმეები.

კვლავ უაღრესად უხარისხოდ, უხეში შეცდომებით არის წარმოდგენილი ანგარიშები 1989 წელს სახავტოინსპექციების მუშაობის შესახებ (ბოგდანოვკა, დმანისი, ქ. ზუგდიდი, ზუგდიდის რაიონი, ახმეტა, რუსთავი, თეთრიწყარო, წითელიწყარო, სენაკი, ხონი, ჩხოროწყუ და სხვა).

აშკარად არარეალურია ზოგიერთი რეგიონის მიერ წარმოდგენილი საანგარიშო ციფრობრივი მაჩვენებლები, გამოვლენილ დარღვევათა და განხორციელებულ ღონისძიებათა შესახებ.

მძღოლის მოწმობის რეგისტრაციისა და მათი გაცემის საქმეში შემოწმება არაერთ დარღვევას ავლენს. კომისიას გამოაქვს შესაბამისი გადაწყვეტილებები მათი მუშაობის გასაუმჯობესებლად, მაგრამ აღნიშნული დარღვევები და ნაკლოვანებები წლების განმავლობაში მეორდება და არც თუ იშვიათად, ღრმავდება კიდეც, (ასეთი ფაქტები აღინიშნება სამხრეთ ოსეთში, აჭარაში, ოზურგეთში, ფოთში).

ყურადღებას იპყრობს ის გარემოებაც, რომ ზოგიერთ სარეგისტრაციო-საგამოცდო ქვედანაყოფების მუშაკები სამუშაო საათებს არადანიშნულებით იყენებენ (ოზურგეთი, სამტრედია, ბოლნისი, ქუთაისი, გორი და სხვა) რაც მოქალაქეთა სამართლიან გულისწყრომას იწვევს.

ვერავითარ კრიტიკას ვერ უძლებს ავტომობილების გამონაბოლქვი აირებით ატმოსფერული ჰაერის დაჭუჭყიანების წინააღმდეგ ბრძოლისათვის გამიზნული მუშაობა. ასეთებია „აჭარის ასსრ, სამხრეთ ოსეთის ა/ო, ზუგდიდის და სენაკის რაიონები.

ამგვარად უნდა ვაღიაროთ, რომ ჯერ კიდევ ძალზე ბევრ ნაკლოვანებას აქვს ადგილი. ცხადია, ასეთი მდგომარეობა შეუწყნარებელია, ყოველივე ამის გათვალისწინებით მოთხოვნები ზონალური მუშაკებისადმი და მათი პასუხისმგებლობა სამომავლოდ უფრო გაიზრდება.

მუშაობაში დიდი მნიშვნელობა ენიჭება საგზაო მოძრაობის წესების პროპაგანდის, მასობრივი ინფორმაციის ხარისხის ამაღლების, სახელმწიფო ავტოინსპექციის აპარატების ფართო საზოგადოებრიობასთან ურთიერთმოქმედების გაუმჯობესების საკითხებს.

სახავტოინსპექციის ზოგიერთი რეგიონალური დანაყოფები კვლავ სრულყოფილად ან საერთოდ არ ასრულებენ 1988 წლის 17 თებერვლის № 42/5-316 სადირექტივო წერილის მოთხოვნებს პროპაგანდისა და აგიტაციის ხაზით გაწეული მუშაობის ცნობის წარმოდგენის შესახებ. ესენია: სამხრეთ ოსეთის ა/ო და აფხაზეთის ასსრ სახავტოინსპექციების დანაყოფები, ბორჯომის, ბოგდანოვკის, ყაზბეგის, ლაგოდეხის, ლანჩხუთის, ლენტეხის, საგარეჯოს, ტყიბულის, ცაგერის, ჩხოროწყუს რაიონები და ქ. ფოთის შს განყოფილებათა სახავტოინსპექციის ქვეგანყოფილებები.

**— როგორია დისციპლინის, სოციალისტური კანონიერების დაცვის, კადრების შერჩევისა და განაწილების მდგომარეობა?**

შარშან, ავტოინსპექციის მუშაკების მიერ, საგზაო მოძრაობის უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად გამიზნული მუშაობის პროცესში, დისციპლინის დარღვევის 155 და სოციალისტური კანონიერების ნორმების დარღვევის 1 ფაქტი აღინიშნა.

1988 წელთან შედარებით სოციალისტური კანონიერების ნორმების დარღვევის შემთხვევათა რიცხვი 2 ერთეულით შემცირდა.

სახელმწიფო ავტოინსპექციის აპარატებისა და რესპუბლიკის შინაგან საქმეთა საქალაქო და სარაიონო განყოფილებათა სამწყობრო დანაყოფების მუშაკების მიერ დისციპლინის დარღვევათა შემთხვევების რიცხვი 1988 წელთან შედარებით 5 ერთეულით, ანუ 3 პროცენტით შემცირდა.

ყოველი გამოვლენილი დარღვევის მიმართ გატარებული იქნა მკაცრი ზომები. მათ შორის: 24 თანამშრომელი შინაგან საქმეთა ორგანოებიდან დათხოვნილი იქნა, სხვადასხვა დისციპლინარული სასჯელი განესაზღვრა სახელმწიფო ავტოინსპექციის და საგზაო-საპატრულო სამსახურის 132 მუშაკს.

შარშან ატესტაცია გაიარა სახელმწიფო ავტოინსპექციისა და საგზაო-საპატრულო სამსახურის 390 მუშაკმა, ამასთან ერთად, შინაგან საქმეთა საქალაქო და სარაიონო განყოფილებების, სახელმწიფო ავტოინსპექციებისა და საგზაო-საპატრულო სამსახურის ყველა ხელმძღვანელმა როდი გამოავლინა ამ ატესტაციის პროცესში სათანადო პრინციპულობა და ობიექტურობა ხელქვეითთა საქმიანი და მორალური ღირსებების შეფასებისას. ზემოთ ხსენებული ფაქტი ეხება: მარტვილის, დმანისის, საჩხერის, კასპის, საგარეჯოს, ჭიათურის და სხვა საქალაქო და სარაიონო განყოფილებების ხელმძღვანელებს.

ჯერ კიდევ არაერთი ნაკლოვანება არსებობს კადრების შერჩევისა და განაწილების საქმეში.

საქართველოს სსრ შს სამინისტროს 1987 წლის 1 ოქტომბრის № 42/1-2316 დირექტიული წერილის შესაბამისად, სახავტოინსპექციის საგზაო-საპატრულო სამსახურის რიგითი შემადგენლობის ინსპექტორთა დაკომპლექტება ხდება რესპუბლიკურ კონკურსებში გამარჯვებული ახალგაზრდებით. ამავე წერილით კონკურსისათვის კანდიდატთა შერჩევა დავალებული აქვთ ადგილობრივ შს განყოფილებებს.

კანდიდატთა შერჩევის საქმეში განსაკუთრებით გამოიჩინეს თავი რუსთავის, ახმეტის, ლაგოდეხის, მარნეულის, მცხეთის და წითელწყაროს შინაგან საქმეთა განყოფილებებმა, სადაც შეიქმნა კიდეც კადრების საკმაო რეზერვი.

რაც შეეხება აბაშის, ამბროლაურის, მარტვილის, ცაგერის, წალენჯიხის, ჩხოროწყუსა და ხარაგაულის რაიონებს, მათ წარმოგზავნილ კანდიდატებს კონკურსში არ გაუმარჯვიათ, ხოლო ბოგდანოვკის, ლენტეხისა და მესტიის შს რაიგანყოფილებებს არცერთ კონკურსზე საერთოდ არ გამოუგზავნიათ კანდიდატები.

ზემოთ აღნიშნული ნაკლოვანებების ძირითადი მიზეზი არის ის, რომ სახელმწიფო ავტოინსპექციისა და საგზაო-საპატრულო სამსახურის მუშაკები კარგად არ იცნობენ კანონმდებლობას საგზაო მოძრაობის უსაფრთხოების უზრუნველყოფის ხაზით, დაბალ დონეზე დგას პირად შემადგენლობასთან სამსახურებრივი მეცადინეობების ჩატარების საქმე და სხვა.

**— რა ღონისძიებებია დასახული შექმნილი მდგომარეობიდან თავის დასაღწევად?**

— სახელმწიფო ავტოინსპექციის წინაშე მდგარი ამოცანების წარმატებით გადასაჭრელად, საგზაო მოძრაობის უსაფრთხოების ყველა სამსახურის მუშაობის გააქტიურებისათვის, საგზაო-სატრანსპორტო შემთხვევათა წარმომქმნელი წინაპირობების აღსაკვეთად, აუცილებელია მთელი რიგი ღონისძიებების განხორციელება, მათ შორის:

— განსაკუთრებული ყურადღება მიექცევა სახელმწიფო ავტოინსპექციის სამსახურის ავტორიტეტის, მოსახლეობაში მისი სოციალური პრესტიჟის ამაღლების საკითხებს, თანამშრომელთა აღზრდისა და დისციპლინის განმტკიცების საქმეს.

— ამაღლდეს სახელმწიფო ავტოინსპექციის სამართალგამოყენებითი მოღვაწეობის პროფილაქტიკური ზემოქმედების ეფექტურობა.

— გაუმჯობესდეს საგზაო მოძრაობის ორგანიზაციის რეგულირების თანამედროვე ავტომატიზირებული ტექნიკური საშუალებების დანერგვისა და სხვა ანალოგიურ ღონისძიებათა განხორციელების გზით;

— უფრო ფართოდ დაინერგოს პრაქტიკაში საგზაო-სატრანსპორტო შემთხვევათა წარმოქმნის ადგილების გამოვლინებისა და მათი ლიკვიდაციის მეთოდები.

— საგზაო მოძრაობის მონაწილეთა შორის მიზანმიმართული, ქმედითი პროპაგანდისტული მუშაობის გასაშლელად უფრო სრულად იქნეს გამოყენებული მასობრივი ინფორმაციის საშუალებების პრესის, ტელევიზიისა და რადიოს შესაძლებლობანი;

— ავტოსატრანსპორტო საწარმოებში, ავტომეურნეობებში და სხვა სატრანსპორტო ორგანიზაციებში მძღოლთა შემადგენლობასთან სახელმწიფო ავტოინსპექციის მუშაკებისა და სხვა სპეციალისტების უშუალო მონაწილეობით ჩატარდეს თემატური ლექცია-საუბრები საგზაო მოძრაობის წესების განუხრელი დაცვის აუცილებლობის, სატრანსპორტო საშუალებათა ტექნიკური მზადყოფნის მნიშვნელობის შესახებ;

— ფართო ახსნა-განმარტებითი მუშაობა ჩატარდეს იმ ინდივიდუალურ სატრანსპორტო საშუალებათა მძღოლებს შორის, რომლებსაც არ გააჩნიათ ავტომობილების ტარების საკმაო გამოცდილება;

— საქმიანი კონტაქტები დამყარდეს სამინისტროებთან, უწყებებთან, სატრანსპორტო ორგანიზაციებთან მათ სისტემაში საგზაო-სატრანსპორტო შემთხვევების აღკვეთა-აცილებისათვის გამიზნული ბრძოლის გააქტიურების მიზნით;

— გაუმჯობესდეს კადრების შერჩევის, სწავლებისა და განაწილების ხაზით გაწეული მუშაობის ხარისხი, განხორციელდეს სოციალისტური კანონიერების დარღვევის, საგზაო მოძრაობის მონაწილეებთან უხეში, უსულგულო დამოკიდებულების შემთხვევათა აღკვეთა-აცილებისათვის გამიზნული ქმედითი ღონისძიებები და სხვა.

ესაუბრა ქ. ანდრიაძე

# ДЕЛА И ЗАБОТЫ СВЯЗИСТОВ

**Военизированная пожарная часть технической службы ВПЧТС-17, входящая в состав отряда военизированной пожарной охраны технической службы УПО МВД ГССР, была организована в конце прошлого года для обеспечения технического обслуживания средств связи гарнизонов республики. Наш корреспондент встретился с начальником этого подразделения майором внутренней службы С. Лайтадзе и попросил подробнее рассказать о ее деятельности.**

**ОСНОВНЫМИ** задачами работы нашей части являются: обеспечение постоянной готовности средств связи, содержание их в исправном состоянии, согласно техническим условиям и нормам, своевременное выявление неисправностей и их ликвидация, а также ввод в действие новых средств связи и проведение плановых профилактических мероприятий.

Коллектив наш не многочисленный, но работают здесь в основном высококвалифицированные специалисты с высшим и средним специальным образованием. Недавно он пополнился молодыми сотрудниками из лиц, отслуживших в рядах Советской Армии. Это младший сержант внутренней службы В. Калантаров, инженер В. Гиоргадзе и мой заместитель капитан внутренней службы Г. Вачеишвили.



На нашем подразделении лежит огромная ответственность как за обслуживание средств связи гарнизона г. Тбилиси, так и за ремонтно-профилактические работы радиостанций во всех регионах республики.

Технически часть оснащена неплохо, имеются в достаточном количестве контрольно-измерительные приборы и инструменты, а в запасных частях испытывает недостаток.

Руководство УПО МВД ГССР и отряда с должным пониманием относятся к нуждам подразделения. Выделен новый специальный автомобиль, что позволит своевременно и качественно обслуживать средства связи в отдельных районах республики на местах. В настоящее время часть находится в стадии становления, поэтому есть у нас и определенные проблемы.

Переход в новое здание (на Кахетинском шоссе) и отдаленность от центрального пункта пожарной связи (ЦПСС) наложили свои отпечатки на ход планово-профилактических работ по обслуживанию техники и аппаратуры связи.

И все-таки надо отметить, что за короткий период сделано уже немало, и это определяет хорошую перспективу того, что подразделение внесет свой весомый вклад в установление надежной пожарной связи.

Записал
А. МАЛАЯНЦ.

* * *

**На снимке: за наладкой аппаратуры начальник части майор внутренней службы А. Лайтадзе (в центре), заместитель начальника части старший лейтенант внутренней службы В. Цицкишвили и старший мастер старший сержант внутренней службы А. Корчилава.**

# НАЗНАЧЕНИЯ

**Приказом министра внутренних дел Грузинской ССР назначены:**

— на должность заместителя начальника следственного управления МВД ГССР подполковник милиции **Гахокидзе Джемал Владимирович**, с освобождением его от должности заместителя начальника этого же управления, он же начальник следственной части;

— на должность заместителя начальника следственного управления МВД ГССР, он же начальник следственной части — полковник милиции **Гварамия Вахтанг Леванович**, с освобождением его от должности заместителя начальника УВД Тбилгорисполкома;

— на должность заместителя начальника УВД Тбилгорисполкома полковник милиции **Рогава Валико Варламович**, с освобождением его от должности начальника отдела ГАИ этого же управления;

— на должность начальника отдела Управления охраны МВД ГССР подполковник милиции **Хухия Гуливер Леванович**.

# Решать проблемы сообща

**АНАЛИЗИРУЯ** нарушения и упущения, имевшие место в прошлом, отдел внутренних дел Сухумского горисполкома сейчас вплотную приступил к их устранению. Перестраивается система отбора, обучения, воспитания и расстановки кадров. Ужесточается контроль за их действиями. Открытому разбирательству и широкой гласности предаются случаи беззакония, ущемления прав граждан. Принимаются более конкретные меры по представлениям прокуроров, частным определениям народных судов, критическим выступлениям в средствах массовой информации.

Вместе с тем нельзя закрывать глаза на то, что в организации борьбы с преступностью в городе делается далеко не все, что вызывает у населения тревогу и справедливые нарекания, тем более, что проблем в борьбе с преступностью в городе еще много.

Нельзя отрицать, что нам со стороны партийных и советских органов оказывается помощь. В этом году нам выделили 5 легковых служебных автомашин, выделяются средства для реконструкции и ремонта административного здания ГОВД. А какие меры принимаются организациями, предприятиями, учреждениями и общественностью города по профилактике правонарушений? Можно смело сказать — никакие. Порой отдельные руководители, напротив, ссылаясь на сложные процессы перестройки, занимают выжидательную позицию. Грязь, неразбериха и распущенность царят на объектах обслуживания населения, и к этим явлениям проявляется равнодушие и цинизм.

Без наведения общественного порядка в городе никому не дано спокойно жить, работать, отдыхать. Как известно, много несчастных случаев и семейных бед связано с пьянством. Не зря с этим злом ведется постоянная борьба, но многие пока что этого недооценивают. Достаточно сказать, что только за истекший 1989 г. в нетрезвом состоянии совершено 6 убийств, 5 умышленных тяжких телесных повреждений, 5 злостных хулиганств, 28 нарушений правил движения с серьезными последствиями, За каждой цифрой — горе и страдание людей.

В этом направлении милиция принимает строгие меры. В прошлом году в медицинском вытрезвителе побывало 632 человека. На каждого из них посылались соответствующие представления по их месту жительства и работы для реагирования. Однако, отдельные руководители по-прежнему предпочитают на них не реагировать. Кроме того, несмотря на действующее законодательство против пьянства и алкоголизма, многие объекты общепита злоупотребляют реализацией спиртных напитков в неограниченном количестве и времени, ссылаясь при этом на давно изжитые методы «погони за планом».

Результаты всего этого бывают зачастую весьма печальные. Так, 10 февраля в кооперативном кафе «Эдельвейс» произошло убийство. В этом кафе регулярно устраивались пьянки, здесь ничего не стоило принести любые виды напитков и распивать их допоздна, не получая при этом никакого предупреждения ни от участкового, ни от работников данного кооператива, ни тем более, от общественности. Это равнодушие привело к трагедии для семьи 19-летнего жителя села Киндги Очамчирского района А. Гвинджия, который в возникшей внезапно ссоре, переросшей затем в драку, получил смертельное ножевое ранение от гр. Гоги К.





Политинформацию проводит начальник политчасти Сухумского ГОВД подполковник милиции В. Джинджолия; в дежурной части ГОВД; помощник начальника Сухумского ГОВД оперативный дежурный майор милиции К. Аветисян, дежурный инспектор старший лейтенант милиции В. Цоцонава и помощник дежурного сержант милиции Г. Цаава.



Бдительно несут службу на обслуживаемом участке — пр. Мира и ул. Руставели — сотрудники ППС Сухумского ГОВД сержант милиции Х. Забуниди, старшие сержанты милиции Р. Гавтадзе и А. Пакулия.

Почти аналогичный случай произошел 14 февраля в кооперативном кафе «Синяя птица», работники которого, не имея на то права, реализовали своим клиентам 2 бутылки коньяка. После их распития. молодых людей потянуло на «подвиги», в зале возникла драка, однако работники данного кафе, надеясь, что конфликт угаснет без нежелательного для них шума, своевременно в милицию не сообщили. Тем временем страсти перехлестнули через край, и в завязавшейся драке Давид М., неработающий, инвалид 2-й группы, с целью умышленного убийства нанес восемь ножевых ранений заведующему аптекой № 6 Тамазу Гвахария, который от полученных ран скончался. Все эти преступления работниками Сухумского ГОВД раскрыты по «горячим следам», преступники установлены и задержаны, прокуратурой ведется следствие.

Конечно, в этих страшных преступлениях в какой-то степени усматривается и вина работников милиции, в настоящее время проводится служебное расследование и виновные понесут соответствующее наказание. Но кто оценит моральный ущерб, нанесенный бездействием, преступно-халатным отношением отдельных организаций и граждан, близким и родственникам пострадавших.

Наконец, хочется отметить еще одну деталь. В последнее время мы очень болезненно реагируем на происходящие в жизни республики различные события, даем слишком много приоритета людям с сомнительным образом жизни. Стали прислушиваться к выступлениям неформальных организаций, к самим неформалам, которые сейчас предпочитают «решать» общегосударственные вопросы. Но разве не лучше было бы, если бы они решали и обсуждали также вопросы улучшения жизни своих же сограждан, их безопасности. Неужели вопросы охраны общественного порядка, жизни и здоровья людей для них второстепенные?

Думается, что найдутся люди, которые откликнутся на эту статью, выскажут свое мнение и предложения по этим серьезным вопросам. Деловая, конструктивная полемика в этом плане будет только полезной.

**В. ДЖИНДЖОЛИЯ,**
**подполковник милиции, начальник политчасти Сухумского ГОВД.**

# უნიკალური საზოგადოებრივი ორგანიზაცია

**მიმდინარე** წელს საბჭოთა კავშირის შინაგან საქმეთა სამინისტროს აკადემიის მართვისა და სოციოლოგიის სამეცნიერო ცენტრის მიერ შესწავლილი იქნა საქართველოს სსრ შს სამინისტროსთან არსებული საზოგადოებრივი აზრის ინსტიტუტის მუშაობის გამოცდილება, რომლის შედეგადაც რამოდენიმე საგულისხმო დასკვნა გაკეთდა.

როგორც მისი არსებობისა და საქმიანობის განვლილმა 22 წლიწადმა გვაჩვენა საზოგადოებრივი აზრის ინსტიტუტის სახით ჩვენში ფუნქციონირებს უნიკალური, საკავშირო მასშტაბით ანალოგიის არამქონე საზოგადოებრივი ორგანიზაცია, რომელსაც ახასიათებს ფართო ინტელექტუალური პოტენციალი, დიდი საზოგადოებრივი გამოცდილება, ხოლო ამის საფუძველზე — არსებული სოციალურ-პოლიტიკური და კრიმინოგენული სიტუაციის რეალურად აღქმისა და შეფასების უნარი, ჰუმანიზმის მძლავრი მუხტი.

საზოგადოებრივი აზრის ინსტიტუტი, სხვადასხვა მიმართულების საუკეთესო სპეციალისტებით დაკომპლექტებული მუდმივმოქმედი საზოგადოებრივი ფორმირება განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს რესპუბლიკის განვითარების თანამედროვე ეტაპზე, როდესაც შინაგან საქმეთა ორგანოები თავიანთ საქმიანობაში ეხებიან სრულიად ახალ სოციალურ, ეკონომიკურ და კრიმინოგენულ მოვლენებს. მათ გარშემო კოლექტიურ დაკვირვებასა და აზროვნების კონცენტრირებას დიდი სარგებლობა შეუძლია მოუტანოს ნეგატიური მოვლენების ნიველირების სტრატეგიული გზების ძიების და გადაჭრის საქმეს. ინსტიტუტის მოღვაწეობის დიაპაზონი და შედეგები იძლევა საშუალებას ვიფიქროთ, რომ არსებული გამოცდილების გავრცელება და დანერგვა საბჭოთა კავშირის სხვა რეგიონებში და პირველ რიგში საკავშირო სამინისტროში სასიკეთო როლს შეასრულებს ქმედითი პროფილაქტიკური საქმიანობის ორგანიზებაში.

# Только факты

◆ 3 марта сотрудниками Кутаисского ЛОВД в поезде Москва — Цхалтубо задержан гр. Имеда А., неработающий, житель села Одиши Зугдидского района, у которого при личном обыске изъято 77 г кокнара.

◆ 7 марта сотрудниками Зугдидского ГОВД задержан ранее судимый житель г. Зугдиди Гия Ш., у которого изъят обрез охотничьего ружья с 6 боепатронами.

# მძარცველთა გზა...

**ყვარელის** ცენტრში საღამოს 10 საათზე დიდი სიჩქარით მიმავალი „ჟიგული“ დაეჯახა ფეხით მოსიარულე ორ მოქალაქეს და შემთხვევის ადგილიდან მიიმალა. გამვლელებმა ნომერი ვერ შენიშნეს და მილიციის მორიგეს ავტომანქანის ფერი შეატყობინეს. შემთხვევის ადგილზე გავიდნენ ავტოინსპექციის უფროსის მოადგილე, მილიციის უფროსი ლეიტენანტი გ. კუპატაძე, საგზაო-საპატრულო სამსახურის ინსპექტორები, მილიციის ზემდეგი ნ. საბანიშვილი, შ. სოხაძე და გ. ვარადაშვილი. ადგილზე არ იყო არავითარი კვალი. დაზარალებულები მიიყვანეს საავადმყოფოში. მაშინვე დაიწყო ავტომანქანის ძებნა. შემოვლის დროს წესრიგის დამცველებმა ქუჩაში შენიშნეს უნომრო ავტომანქანა „გაზ-24“, რომლის მფლობელის დასადგენად გამოკითხეს მეზობლები, მაგრამ არავინ არაფერი არ იცოდა. ამ დროს ჯგუფს შეემატა განყოფილების გამომძიებელი, მილიციის უფროსი ლეიტენანტი გ. მოძღვრიშვილი. ჯგუფი ორად გაყო. ნაწილი წავიდა „ჟიგულის“ საძებნელად, მეორე ჯგუფის წევრებმა „ვოლგას“ ძრავიდან მოხსნეს ელექტრო გამანაწილებელი და ჩასაფრდნენ. შუაღამე იყო, როდესაც ავტომანქანასთან მოვიდა რამოდენიმე მამაკაცი და მანქანა რომ ვერ აამუშავეს ერთი მათგანი საჭეს მიუჯდა ოთხმა კი დაიწყო ავტომანქანის დაგორება. როდესაც მილიციის მუშაკებს მიუახლოვდნენ ისინი საფარიდან გამოვიდნენ. უცნობებმა შეიარაღებული წინააღმდეგობა გაუწიეს ოპერატიული ჯგუფის წევრებს. სროლის დროს ორი ბოროტმოქმედი გაიქცა, დანარჩენები დააკავეს და განყოფილებაში მიიყვანეს. ერთ-ერთს აღმოაჩნდა „ნაგანი,“ ხოლო მეორეს საკმაოდ დიდი ხანჯალი და „ნაგანის“ 13 ტყვია, ავტომანქანიდან ამოღებული იქნა 3 ათასი მანეთი, ორი თოფი, იაპონური წარმოების საათი, რამოდენიმე ტანსაცმლით სავსე ჩანთა, საოჯახო ნივთები. დაკითხვის დროს გაირკვა, რომ თბილისელები გ. თ. ნ. ჩ. და ო. ჩ. 3 თებერვალს ყაჩაღურად შეიჭრნენ ყვარლის მკვიდრის ი. მ-ს ბინაში და სახლის პატრონს მოსთხოვეს 1 მილიონი მანეთი, როცა უარი მიიღეს მათ სახლის პატრონი, მისი მეუღლე და ოჯახის სტუმარი თოკებით დააბეს და განაგრძობდნენ ფულის მოთხოვნას. ყოველი უარის შემდეგ ო. ჩ. „ნაგანის“ ტარს ურტყამდა მათ თავში. ცოტა ხნის შემდეგ მძარცველები 3 ათას მანეთზეც თანახმა იყვნენ. როდესაც უარი მიიღეს ერთ-ერთმა ბანდიტმა ჩართო ელექტრო უთო და მიუტანა სახესთან სახლის პატრონს. ბოროტმოქმედებმა ყველაფერი გააკეთეს რათა სასურველი თანხა გამოეძალათ. ღამის 3 საათისათვის მასპინძლების მიღებით უკმაყოფილო ბოროტმოქმედებმა გამეტებით ჩაარტყეს სახლის პატრონს რევოლვერი თავში და ავტომანქანისაკენ გაემართნენ, მაგრამ მათი გზა მოკლე გამოდგა...

**გ. მგალობლიშვილი.**

• • •

**სურათზე:** ოპერატიული ჯგუფის წევრები.

ავტორის ფოტო.



# Премьера — «Снежная королева»

**КАЖЕТСЯ** совсем недавно наша газета писала о первых шагах на самодеятельной сцене вокально-инструментального ансамбля МВД ГССР «Экипаж». За прошедшие несколько лет существенно повысились творческий уровень и мастерство исполнителей, ансамбль завоевал устойчивую популярность среди сотрудников министерства, не раз с успехом принимал участие в республиканских и всесоюзных конкурсах народного творчества.

И вот на днях ансамбль представил на суд зрителей, собравшихся в доме культуры им. Ф. Э. Дзержинского, свою новую работу — рок-оперу «Снежная королева». Это выступление было посвящено пятилетию создания ансамбля и явилось новым этапом его творческого восхождения.

Немалый труд был вложен всеми членами коллектива в создание и постановку рок-оперы. Это сочинение музыки и стихов всех песен в постановке (автор — руководитель ансамбля С. Егинов), режиссура (постановка — солиста ВИА и исполнителя главной роли автора Г. Кезели), подбор сценического освещения и режиссура звука (звукооператор П. Гадзяцкий). Активное участие приняли и другие члены ансамбля. Это Л. Ментесашвили (в роли Герды), И. Гочалейшвили (в роли волшебной феи и старой финки), Е. Чубарь, (сочетающий игру на бас-гитаре с исполнением ролей принцессы и разбойницы). К. Турашвили (в роли Снежной королевы).

Свежую струю в жизнь коллектива внесли своим приходом гитарист С. Кочаров (в роли Кая, принца и разбойника), а также Р. Чичибиров — исполнитель на флейте, ударных инструментах (в роли разбойника). Видную роль в ансамбле играет исполнитель на ударных инструментах, а также «штатный» конферансье — М. Генгиури.



Следует отметить, что до показа премьеры данная постановка была просмотрена и прослушана народным артистом Грузии композитором Шота Милорава и высоко оценена, несмотря на то, что участники и создатели рок-оперы — непрофессионалы.

Данной постановкой коллектив подтвердил свое высокое звание лауреата «Всесоюзного конкурса авторской песни». Вместе с тем, коллектив в скором будущем, с учетом обновления состава исполнителей, музыкальной и художественной направленности, поменяет свое название. Пока члены коллектива отдают предпочтение названию «МАЭСТРО». Но, как говорится, время покажет.

# გვეკითხებიან — ვპასუხობთ

**ჩვენი** გაზეთის რედაქცია იღებს წერილებს, სადაც თანამშრომლები გვთხოვენ ავუხსნათ თუ რა შეღავათებით სარგებლობენ ვეტერანი თანამშრომლები. წითელწყაროდან გვწერს ომის მონაწილე შ. თარაშვილი, რომელმაც სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების დროს დაკარგა თვალი. ხაშურელი გ. ტაბიძე გვეკითხება ეკუთვნის თუ არა პენსიის მომატება მას შემდეგ რაც მიიღო პირველი ჯგუფის ინვალიდობა (ავადმყოფობის გამო პენსიაზე გასვლის შემდეგ დაენიშნა 132 მანეთი, ეს თანხა დარჩა ინვალიდობის მიღების შემდეგაც).

ჩვენ შევხვდით რესპუბლიკის შს სამინისტროს საფინანსო-სამეურნეო სამმართველოს საპენსიო ქვეგანყოფილების უფროსს, შ/ს მაიორ ი. მუზაშვილს და ვთხოვეთ ეპასუხა მკითხველებისათვის.

პირველ შემთხვევაში თუ არსებობს შემთხვევის აქტი იგი უნდა წარედგინოს სამხედრო საექიმო და რაიონის სოციალური უზრუნველყოფის საექიმო-საექსპერტო კომისიებს, სადაც დაადგენენ ტრავმა მიღებული არის სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების დროს თუ არა და თუ დაუდგინდა ეს ფაქტი (რის შემდეგაც იგი გათანაბრებული იქნება ომის ინვალიდებთან) მაშინ დასკვნას წარუდგენს ჩვენს ქვეგანყოფილებას. რაც შეეხება გ. ტაბიძის შეკითხვას ვუპასუხებთ, რომ იგი სწორად იღებს პენსიას. თუმცა არის კანონპროექტი პენსიების მომატების შესახებ და თუ ის დამტკიცდება მაშინ გ. ტაბიძის პენსიაც გაიზრდება.

ახლა რაც შეეხება შეღავათებს. პირველი ჯგუფის ინვალიდებს რიგგარეშე საგზურებს აძლევს ჩვენი სამინისტროს სამედიცინო განყოფილება, წამლები რეცეპტით ეძლევათ ნახევარ ფასში. თუ საგზურით არ ისარგებლა ორი წლის მანძილზე, მაშინ ვაძლევთ 80 მანეთის კომპენსაციას. წელიწადში ერთხელ ჩვენი ქვეგანყოფილების ფონდიდან შეიძლება გამოვუყოთ დახმარება ერთი თვის პენსიის ოდენობით. აქვე ვიტყვით, რომ არ ეკუთვნით ავტომანქანის რიგგარეშე მიღება, ხოლო მომვლელისათვის დანამატი ეძლევათ მხოლოდ ომის პირველი ჯგუფის ინვალიდებს.

# СПРАШИВАЮТ—ОТВЕЧАЕМ

**НЕДАВНО в газете «Неделя» была опубликована информация о создании новых видов форменной одежды для сотрудников органов внутренних дел. В связи с тем, что в редакцию поступают по этому поводу многочисленные запросы, мы связались с соответствующей службой министерства МВД СССР. Ниже публикуется полученный редакцией ответ.**

«По существу вашего письма, поступившего в МВД СССР, сообщается, что в настоящее время МВД СССР осуществляется программа по разработке принципиально новой формы одежды милиции, отвечающей условиям несения службы и климатическим особенностям различных регионов страны.

Введение новой формы будет производиться поэтапно, по мере выделения материальных ресурсов и денежных средств на эти цели, полного израсходования запасов предметов вещевого имущества прежней конструкции и готовности к этому предприятий легкой промышленности.

Вопрос об изменении существующей формы одежды начальствующего и рядового состава внутренней службы пока не рассматривается».

**В. МАЩЕНКО,**
**начальник Управления вещевого снабжения ГУМТ и ВС МВД СССР.**

СПОРТ ◆◆◆ სპორტი ◆◆◆ СПОРТ ◆◆◆ სპორტი

# გილოცავთ: საქართველო საერთაშორისო ფედერაციის წევრია!

**სპორტის მოყვარულთა მრავალრიცხოვანი არმია, მთელი ჩვენი საზოგადოება დიდი ინტერესით ადევნებს თვალყურს ტრადიციული კარატეს საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს წარმომადგენელთა გაერთიანებასთან დაკავშირებულ პროცესებს.**

**და აი, ყველაფერი დასრულდა. გადაიდგა ბოლო და მთავარი ნაბიჯი — ჩვენი ფედერაცია ამიერიდან ტრადიციული კარატეს საერთაშორისო ფედერაციის ახლადარჩეული წევრია. ასეთი გადაწყვეტილება მიიღო ამ დღეებში პერუს დედაქალაქ ლიმაში გამართულმა კონგრესმა. სადაც გაიმართა მსოფლიოს V ჩემპიონატი ტრადიციულ კარატეში, რომელშიც პირველად მონაწილეობდა საქართველოს დამოუკიდებელი ფედერაციის გუნდი.**

ლიმაში რომ მიემგზავრებოდა, ჩვენი დელეგაცია ორ ამოცანას ისახავდა (ორივეს — მაქსიმუმს): იტკფ-ის — ტრადიციული კარატეს საერთაშორისო ფედერაციის წევრად გახდომას და ჩემპიონატში ცალკე გუნდით გამოსვლას. კონგრესზე, რომელიც წინ უძღოდა ჩემპიონატს, რამოდენიმე საკითხი განიხილებოდა. რიგით მეათე ნომრად გადიოდა იტკფ-ში ახალი წევრების მიღების საკითხი. უნდა ითქვას, რომ ეს ორგანიზაცია 50-ზე მეტ წევრს აერთიანებს და, შეიძლება სწორედ იმიტომ, რომ რაოდენობა აქ მაინცდამაინც აღარ აინტერესებთ, ახალ წევრებს არცთუ დიდი ხალისით იღებდნენ. მაგალითად, სხვადასხვა მიზეზით უარი უთხრეს პარაგვაის, კოსტა-რიკის, საბერძნეთის კარატეს სკოლების წარმომადგენლებს. ადვილი წარმოსადგენია, როგორ ღელავდნენ ჩვენი დელეგატები. მაგრამ იტკფ-ის თავმჯდომარემ ხიდეტაკა ნიშიამამ, როცა საქართველოს დელეგაციას წარადგენდა, ძალზე დარწმუნებით განაცხადა, რომ საქართველოს ფედერაციას სრული უფლება აქვს გახდეს იტკფ-ის წევრი. „ამ ფედერაციას ცნობენ ოფიციალური მთავრობა და საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტი" — ხაზი გაუსვა ევროპის ფედერაციის პრეზიდენტმა, იუგოსლაველმა პროფესორმა ვლადიმერ იორგამ. არ შეიძლება არ აღინიშნოს, დიდი მნიშვნელობა ჰქონდა იმასაც, რომ დელეგაციას ხელმძღვანელობდა სპორტსახკომის თავმჯდომარე ნუგზარ ენდელაძე. საერთაშორისო ფედერაციის დირექტორატის წევრებმა მოინდომეს გასცნობოდნენ საქართველოს კონსტიტუციას, დაინტერესდნენ ჩვენში სუვერენული ორგანიზაციების შექმნის უფლებამოსილების საკითხებით. იტკფ-ის წესდების თანახმად მისი წევრი ვერ გახდება იმ ქვეყნის ფედერაცია, რომლის ოლიმპიური კომიტეტი არ არის აღიარებული საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის მიერ. და მაინც როცა კონგრესის მონაწილენი კენჭისყრაზე გავიდნენ, საქართველოს საკითხი ერთხმად გადაწყდა დადებითად! ამრიგად, ავტომატურად გადაწყდა მეორე — საქართველოს გუნდის ჩემპიონატში მონაწილეობის საკითხიც.

**პეპი გოჩორიშვილი.**

# ვაშლიჯვარის სასროლზე



**გაიმართა** თბილისის შს სამმართველოს სპარტაკიადის პროგრამით გათვალისწინებული შეჯიბრება ტაბელური იარაღიდან სროლაში (მთავარი მსაჯი — რესპუბლიკური კატეგორიის მსაჯი, მილიციის მაიორი თ. ლაკია), რომელშიც მონაწილეობა მიიღო 23 კოლექტივის 100-ზე მეტმა სპორტსმენმა. გუნდური გამარჯვება მოიპოვეს წყალსადენის ნაგებობათა დაცვის დანაყოფის წარმომადგენლებმა, მეორე ადგილი დაიკავა პროფილაქტიკის განყოფილების გუნდმა, მესამე კი საბურთალოს შს რაიგანყოფილების მსროლელებმა. პირად პირველობაში მამაკაცთა შორის გაიმარჯვა სახბანკის დაწესებულებათა დაცვის ქვედანაყოფის თანამშრომელმა, მილიციის სერჟანტმა ე. ბუცხრიკიძემ, საპრიზო ადგილებზე გავიდნენ მილიციის ზემდეგი ვ. მაგირამოვი (წყალსადენის ნაგებობათა დაცვის დანაყოფი) და შ/ს კაპიტანი თ. მახარაძე. ქალებში საპრიზო ადგილები შემდეგი თანმიმდევრობით განაწილდა: მილიციის სერჟანტი ლ. ნოდია (წყალსადენის ნაგებობათა დაცვის დანაყოფი), მილიციის ლეიტენანტი ნ. კახიძე (შს სამმართველოს პროფილაქტიკის განყოფილება) და მილიციის სერჟანტი ნ. კილასონია (სახობიექტების დაცვის დანაყოფი).

შეჯიბრება კარგად იყო ორგანიზებული, 7 მონაწილემ სპორტული თანრიგებიც შეასრულა, მაგრამ აქვე ისიც უნდა ითქვას, რომ მონაწილეთა შორის რატომღაც არ იყვნენ ლენინის შს რაიგანყოფილების (უფროსი, შ. ძნელაძე) თანამშრომლები.

# ПО МАТЕРИАЛАМ ГЛАВНОГО ИНФОРМАЦИОННОГО ЦЕНТРА МВД СССР

# ПРОФИЛАКТИКА РЕЦИДИВНОЙ ПРЕСТУПНОСТИ

**ТРУДОУСТРОЙСТВО** ранее судимых имеет значение для их социальной адаптации. Однако переход предприятий и организаций на новые условия хозяйствования поставил эту категорию граждан в сложные условия: руководители неохотно берут их на работу, ссылаясь на мнение трудового коллектива. Это обстоятельство усложняет работу участковых инспекторов милиции, которые в ответе за трудоустройство каждого освободившегося из ИТУ.

Один из отделов ВД Эстонской ССР обратился в исполком Совета народных депутатов с предложением о выделении благоустроенного жилья для лиц, отбывающих наказание в ИТУ. Жилье было предоставлено, и в течение квартала в него вселилось 40 человек, прибывших в район из исправительно-трудовых учреждений на постоянное жительство. Это облегчило участковым инспекторам милиции контроль за своевременным обращением их подопечных на предприятия, указанные им в направлениях инспекций исправительных работ и трудоустройства. В результате за короткое время 36 ранее судимых приступили к работе и закрепились на производстве.

Для организации профилактической работы с ранее судимыми привлекается общественность, главным образом члены специализированных ДНД. Обсуждение кандидатур шефов и закрепление за конкретными лицами проводится на заседании совета общественного пункта охраны порядка. Шефы работают в тесном контакте с участковым инспектором милиции.

В профилактике правонарушений среди ранее судимых несовершеннолетних большую помощь сотрудникам милиции сказывают оперативные комсомольские отряды дружинников. Их деятельность направлена на то, чтобы исключить случаи нарушения подшефными норм социалистического общежития.

**Подробная информация имеется в МВД Эстонской ССР.**

ინდექსი 66629

НАШ АДРЕС: ТБИЛИСИ, 380064, УЛ. ГОГОЛЯ, 23, ТЕЛЕФОНЫ: 95-66-72; 99-1-41-24.
ჩვენი მისამართია: თბილისი, 380064; გოგოლის ქ. № 23. ტელეფონები: 95-66-72; 99-1-41-24.

რედაქტორი ა. კობალაძე

საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა, იბეჭდება, ოფსეტური წესით საგაზეთო კორპუსში, ხოშარაულის 29.

უე — 00194